

თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და
სს „ლიბერთი ბანკი“-ს შორის

ქ. ბათუმი

19 ივლისი 2019 წ.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდეგში „ბსუ“), წარმოდგენილი რექტორის ასოც. პროფესორის მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ სს „ლიბერთი ბანკი“ ს/კ 203828304 (შემდეგში „ლიბერთი ბანკი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის პაატა დათიშვილის მიერ, (შემდეგში „მხარეები“) თანხმდებიან პროფესიულ საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. „ლიბერთი ბანკი“ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“-ს სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას, ასევე მხარეებს შორის შეთანხმებული კონტიგენტის ფარგლებში უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სხვა საკითხების შესწავლას, პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცებას,
2. მხარეები:
 - ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);
 - ბ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს და სხვა;
 - გ) უზრუნველყოფენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“-ს ფარგლებში, გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ მოდულით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობით და სასწავლო რესურსებით.

მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები

1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2025 წლის 31 დეკემბრამდე;
2. მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.



უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32

მერაბ ხალვაში

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

სს „ლიბერთი ბანკი“

ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. 62/64/66

პაატა დათიშვილი

